მემორანდუმი

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტსა და თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრს შორის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში თანამშრომლობის შესახებ

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი მისი რექტორის ვალენტინა საყვარელიძის სახით და თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორის ვახტანგ ჭარაიას სახით, ქვემოთ ხსენებულნი, როგორც „მემორანდუმის მონაწილე მხარეები", გამოხატავენ სურვილს განავითარონ თანამშრომლობა სამეცნიერო კვლევის სფეროში,

დაადგინეს, დადონ ეს მემორანდუმი და ამ მიზნით მორიგდნენ შემდეგზე :

მუხლი 1.

მემორანდუმის მონაწილე მხარეები მიიღებენ საჭიროზომებს, რათა ხელი შეუწყონ სამეცნიერო კვლევის სფეროში თანამშრომლობის განვითარებას.

ამ მიზნით, მხარეები:

1. გააღრმავებენ თანამშრომლობას;

2. წაახალისებენ სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარებას;

3. გაცვლიან სამეცნიერო კადრებს.

4. ხელსშეუწყობენ ინფორმაციის, ცოდნისა და გამოცდილების, ასევე სასწავლო თვალსაჩინოებების გაცვლას ყველა საგანმანათლებლო დონეზე.

5. მხარეები თავიანთ მიერ გამოცხადებულ მიმდინარე და სამომავლო სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში ჩართავენ ერთმანეთს.

წინასწარი შეთანხმების შემდეგ, განათლების საკითხებთან დაკავშირებული ყველა სხვა საქმიანობა შესაძლოა შეტანილ იქნეს პროგრამებში, აღნიშნული მემორანდუმის მე-5 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 2.

ურთიერთხელსაყრელი პირობების საფუძველზე, მემორანდუმის მონაწილე მხარეები წაახალისებენ და ხელს შეუწყობენ გაცვლებსა და თანამშრომლობას თეორიული და გამოყენებითი მეცნიერების სფეროში, შეუქმნიან შესაბამის პირობებს - მეცნიერებს, მკვლევრებსა და სპეციალისტებს შორის კონტაქტებისათვის; ისინი აგრეთვე წაახალისებენ ერთობლივ ღონისძიებებს სპეციალიზებულ სფეროებსა და საერთო ინტერესების მქონე საკითხებში.

მეცნიერული თანამშრომლობის განვითარებისა და გაფართოების მიზნით, შეთანხმების მონაწილე მხარეები ხელს შეუწყობენ:

1. მკვლევრების, მეცნიერებისა და სხვა სპეციალისტების ვიზიტებს, სასწავლო მივლინებებსა და კონსულტაციებს.

2. კვლევითი პროგრამებისა და პროექტების ერთობლივ შემუშავებასა და განხორციელებას და, შესაბამისად, მათი შედეგების ურთიერთ გაცვლას.

3. ერთობლივი კურსების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ორგანიზებას.

4. სამეცნიერო ხასიათის აუდიო-ვიზუალური მასალების გაცვლას.

5. სამეცნიერო გამოფენებისა და ჩვენებების ორგანიზებას.

6. სამეცნიერო ლიტერატურის, დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გაცვლას.

მუხლი 3.

მემორანდუმის მონაწილე მხარეები განავითარებენ თანამშრომლობას:

1. სამეცნიერო ნაწარმოებების, თარგმანებისა და წიგნების, ისევე სხვა პუბლიკაციების გაცვლის ჩათვლით.

2. მათ წარმომადგენლების მონაწილეობას, მეორე მხარის მიერ სამეცნიერო კვლევით საკითხებზე ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციებში, შეჯიბრებებში, ფესტივალებში, შეხვედრებსა და კონგრესებზე.

3. ინფორმაციის, გამოცდილებისა და სპეციალისტთა გაცვლებს.

მუხლი 4.

შეთანხმების მონაწილე მხარეები ხელს შეუწყობენ სამეცნიერო კველვების განვითარებას მათ მიერ რეალიზებულ საგნმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

მუხლი 5.

აღნიშნული მემორანდუმის განხორციელების მიზნით, მხარეებს შორის წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, შესაძლოა განხორციელებულ იქნეს ყველა სხვა საქმიანობა, რომელიც წინა მდებარე მემორანდუმის მიზნებს პასუხობს.

მუხლი 6.

აღნიშნული მემორანდუმი ძალაში შედის მემორანდუმის მონაწილე მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და ძალაშია მისი ორივე მხარის მიერ გაუქმების მომენტამდე.

შესრულებულია ორ ეგზემპლარად, ამასთან, ყველა ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო	**თსუ ანალიზისა და პროგნოზირების**
უნივერსიტეტი	**ცენტრი**
რექტორი	**დირექტორი**
ვალენტინა საყვარელიძე	**ვახტანგ ჭარაია**
თარიღი	
13 მაისი 2021წ	